საქართველოს კანონი

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №7, 09.03.2010, მუხ. 25) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური უფლებამოსილებები

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურის შესაბამის თანამშრომელს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უფლება აქვს, იხელმძღვანელოს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე, 31-ე (გარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული უფლებისა), 32-ე და 33-ე (გარდა 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 პუნქტისა) მუხლებით.

2. სამსახურის თანამშრომლის განკარგულებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესებს ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

21 მარტი 2014 წ.

N2150-IIს